საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მიქაძე თინათინ გიორგის ასული

თ. მიქაძე

მიქაძე თინათინ გიორგის ასული (დ. 15. VI. 1955, თბილისი), ორთოდონტი. მედ. მეცნ. დოქტორი (1999), პროფესორი (2004). 1979 დაამთავრა თსსი, 1981 – კლინ. ორდინატურა. იყო ამავე ინ-ტის ბავშვთა ასაკის სტომატოლოგიური კათედრის ასისტენტი (1982–93), დოცენტი (1999–2002), ბავშვთა ასაკის სტომატოლოგიისა და სტომატოლოგიურ დაავადებათა პროფილაქტიკის კათედრის პროფესორი (2002–06), 2009-იდან – თსსუ-ის ორთოდონტიის დეპარტ. ხელმძღვ. და სრული პროფესორი, 2014-იდან – საქართვ. ორთოდონტთა ასოციაციის დამფუძნებელი და პრეზიდენტი.

მ-ის სამეცნ. ნაშრომები ეხება ორთოდონტიის, პედიატრიის, ეპიდემიოლოგიის, ორთოპედიის, ბავშვთა ყბა-სახის ქირურგიის, იმუნოლოგიის, პაროდონტოლოგიის აქტუალურ საკითხებს.

თხზ.: სტომატოლოგიურ დაავადებათა პროფილაქტიკა, თბ., 2018.